EU4Business

# შედეგების შეჯამება 2021

## საქართველო



WWW.EU4BUSINESS.GE

EU4Business

# [მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა]

EU4Business ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინიციატივაა, რომელიც აერთიანებს ევროკავშირის აქტივობებს მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში - სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა.

## პორტფოლიო, 2020 წ.

**38** პროექტი

ევროკავშირის მხარდაჭერის მთლიანი ბიუჯეტი

**€300.9** მილიონი




A2F
€153.89 მილიონი

BEE
€36.55 მილიონი

BDS
€110.46 მილიონი

## 2020 წელს მიღწეული შედეგები*

**18,947** მცირე და საშუალო საწარმოს მხარდაჭერა

**24.2%** საწარმოს მფლობელი ქალია

**10,055** ახალი სამუშაო ადგილი

**€69.86** მილიონი დამატებითი შემოსავალი გამოიმუშავეს მცირე და საშუალო საწარმოებმა

**+12.4%** თანამშრომელთა ზრდა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ მცირე და საშუალო საწარმოებში

**+9.4%** მცირე და საშუალო საწარმოთა ბრუნვის ზრდა

**+1.2%** ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი მცირე და საშუალო მეწარმეები ჩაერთნენ ექსპორტში

**+3.3%** ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილმა მცირე და საშუალო მეწარმეებმა გაზარდეს ექსპორტი

* ამ ბროშურაში წარმოდგენილი მონაცემები დათვლილია ევროკავშირის შერჩეული პროექტების საფუძველზე განსაზღვრული მეთოდოლოგიის გამოყენებით: https://eu4business.eu/useful-toolkit/data-collection-methdology/

# რა სახის მხარდაჭერას სთავაზობს ევროკავშირი მცირე და საშუალო საწარმოებს საქართველოში?

## ფინანსებზე წვდომა (A2F):

- შეღავათიანი სესხები ადგილობრივი ბანკების საშუალებით
- მიკროდაფინანსება საოჯახო ბიზნესებისთვის
- მცირე გრანტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის
- ადგილობრივ ბანკებში თანამშრომელთა გადამზადება, რათა ისინი უკეთ მოემსახურონ მცირე და საშუალო საწარმოებს
- ფინანსური წიგნიერების ტრენინგები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის

## ბიზნესის განვითარების სერვისები (BDS):

- მცირე და საშუალო საწარმოებისთვის პირდაპირი კონსულტაცია და ტრენინგები
- ტრენინგი და შესაძლებლობების განვითარება ბიზნესის მხარდამჭერი ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის (BSO)
- ბიზნეს-ინკუბატორების შექმნა სტარტაპებისთვის
- ბიზნეს-კლასტერების განვითარება ურთიერთმხარდაჭერისა და განვითარებისთვის
- მთავრობის მხარდაჭერა ახალი ბაზრების აღმოჩენის კუთხით
- ექსპორტის მხარდამჭერი ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება

## ბიზნესის ხელშემწყობი გარემო (BEE):

- მარეგულირებელი რეფორმებისა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა
- გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და მარეგულირებლების შესაძლებლობების განვითარება
- საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის ხელშეწყობა
- საწარმოების ინფორმირება განხორციელებული რეფორმების და ახალი წესების/პროცედურების შესახებ

# საქართველოში თითოეული მიმართულების ქვეშ მიღწეული შედეგები

**2,987**
მცირე და საშუალო საწარმომ მიიღო სესხები

**43.72%** საწარმოები, რომელთა მფლობელი ქალია

**€70.25**
მილიონი
სესხების მთლიანი მოცულობა

**€22,394**
სესხის საშუალო ოდენობა

**6**
პარტნიორმა ფინანსურმა ინსტიტუტმა მიიღო მხარდაჭერა

**648**
ბიზნესის მხარდამჭერმა ორგანიზაციამ განამტკიცა საკუთარი შესაძლებლობები

**15,694**
საკონსულტაციო სერვისი მიეწოდა მცირე და საშუალო საწარმოებს

**20.35%** საწარმოები, რომელთა მფლობელი ქალია

**48**
კანონის, პოლიტიკისა და რეგულაციის რეფორმირება

**116**
ღონისძიება საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის მხარდასაჭერად

**17**
სახელმწიფო დაწესებულებამ განამტკიცა საკუთარი შესაძლებლობები

# წარმატების ისტორიები



## „ფუდ ალიანსის“ საწარმო გაყინული პურ-ფუნთუშეულის წარმოებას ზრდის

ნათია ხელაიამ, მაღალი ხარისხის გაყინული პურ-ფუნთუშეულის მწარმოებელი კომპანიის, „ფუდ ალიანსის“ ფინანსურმა დირექტორმა, EU4Business-ისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ერთობლივი საკრედიტო ხაზიდან მიიღო სესხი, 15%-იანი ე.წ. Cashback-ის შესაძლებლობით. შედეგად საწარმომ საჭირო ინვენტარი და ტექნიკა შეისყიდა და კომპანიის ეფექტურობა 50%-ით გაიზარდა.

იხილეთ სრულად

## EU4Business და GIZ ტანსაცმლის კრეატიულ მწარმოებელს Covid-19-თან ადაპტირებაში ეხმარებიან



განო მელითაურმა ისარგებლა EU4Business-ის და GIZ-ის მხარდაჭერით და პანდემიის პირობებში შეიძინა ახალი საკერავი მოწყობილობა, რათა მის კომპანიას „კომბინიზონას“ მუშაობა არ შეეწყვიტა. ნაცვლად ამისა, კომპანიამ დაიწყო ანტიბაქტერიული სახის ნიღბებისა და დამცავი აღჭურვილობის წარმოება, შეძლო მეტი ადამიანი დაესაქმებინა და დიდი ოდენობით ნიღბები უფასოდ დაარიგა.

იხილეთ სრულად

## გრინპაკის მიზანია ასწავლოს ადამიანებს ერთ ჯერზე მხოლოდ ერთი პარკი გამოიყენონ



„გრინპაკმა“, რომელიც საქართველოში ქაღალდის პარკებს და მრავალჯერადი გამოყენების ჩანთებს აწარმოებს, EU4Business-ის მხარდაჭერით და ინიციატივით, რომელიც ხორციელდება UNDP-ის მიერ, ჩამოაყალიბა შემფუთველთა ასოციაცია. ასოციაციამ კლასტერის მმართველი ორგანიზაციის როლი იტვირთა, რითაც მნიშვნელოვნად გაიზარდა მისი გავლენა და განვითარდა ღირებულებათა ჯაჭვი.

იხილეთ სრულად

## EU4Business ქართულ ციფრულ სააგენტოს ბრენდის მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრებაში ეხმარება



„ლივინგსტონმა“, რომელიც სხვადასხვა ჯილდოების მფლობელი ციფრული სააგენტოა საქართველოში, EU4Business -ის მხარდაჭერით შეიმუშავა ახალი მისიის განაცხადი და სახელმძღვანელო, რომელშიც დეტალურად არის წარმოდგენილი კომპანიის პოლიტიკა და პროცედურები. კოპანიამ შეძლო თანამშრომლობის დაწყება ისეთ გიგანტებთან, როგორებიცაა Siemens, Zeiss, Deutsche Telekom, Netflix და Fox Broadcasting Company.

იხილეთ სრულად



## ევროკავშირის მხარდაჭერილი აგროცენტრი ბოლნისში ადგილობრივ წარმოებას აუმჯობესებს

ბოლნისის აგრო ცენტრი, რომელიც შექმნილია EU4Business-ის ქოლგის ქვეშ, ადგილობრივი მაცხოვრებლების პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნავს და ამ მიზნით, მათ უზრუნველყოფს პრაქტიკული საშუალებებით ბიზნესის უფრო ეფექტურად მუშაობისათვის. აგროცენტრი მხარს უჭერს ეკონომიკური განვითარების მაღალი პოტენციალის მქონე სფეროებს, როგორიცაა: სოფლის მეურნეობა, მეღვინეობა და ტურიზმი. ბოლნისში 900-მდე საოჯახო მეღვინეობას შეუძლია აგროცენტრის მომსახურებით ისარგებლოს.

იხილეთ სრულად



## ევროკავშირის მხარდაჭერით ადგილობრივი საწარმო კარტოფილის საწყობს აფართოებს

კომპანიამ „მზიანი მოსავალი“ კარტოფილის შენახვის პრობლემა ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამის დახმარებით გადაჭრა, რომელსაც ახორციელებს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO). საწარმომ 500 ტონაზე მეტი ტევადობის კონტეინერებისა და სპეციალური დამტვირთველი შეიძინა, რამაც კომპანიას საქმიანობის გაფართოების შესაძლებლობა მისცა.

იხილეთ სრულად

გაეცანით დამატებით ინფორმაციას:

**WWW.EU4BUSINESS.GE**